

ვაკანსიის № 60713

პოზიციის დასახელება	ინტეგრირებული ზოგადი მოდულის „კომუნიკაცია ქართულ ენაზე“ პროფესიული განათლების მასწავლებელი (შტატგარეშე თანამშრომელი)
კონკურსის ტიპი	გამარტივებული კონკურსი
ორგანიზაცია	ა(ა)იპ - კოლეჯი „ჰორიზონტი“
კატეგორია	განათლება/სწავლება
განცხადების ბოლო ვადა	21.05.2020
თანამდებობრივი სარგო	შეთანხმებით
ადგილების რაოდენობა	2
სამსახურის ადგილმდებარეობა	ოზურგეთი
გამოსაცდელი ვადა	3 თვე

ფუნქციები

- განახორციელოს ინტეგრირებული ზოგადი მოდულის „კომუნიკაცია ქართულ ენაზე“ სწავლება მოდულის მიზნების შესაბამისად; (შესაბამისი მოდული იხილეთ: <http://horizonti.ge/>)
 - 1.1 პროფესიულ სტუდენტს განუვითაროს ეფექტიანი ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარები;
 - 1.2 პროფესიულ სტუდენტს განუვითაროს სხვადასხვა ტიპის ბეჭდური ტექსტებისა და მედიატექსტების კრიტიკული ანალიზის უნარები;
 - 1.3 პროფესიულ სტუდენტს განუვითაროს ენობრივი უნარები, გაუმდიდროს ლექსიკური მარაგი;
 - 1.4 პროფესიულ სტუდენტს განუვითაროს მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნება;
 - 1.5 პროფესიულმა სტუდენტმა შეძლოს კომუნიკაციის უნარების დამოუკიდებლად განვითარება;
 - 1.6 ხელი შეუწყოს პროფესიული სტუდენტის, როგორც ჰუმანურ ღირებულებებზე ორიენტირებული, შემოქმედებითი და მაძიებელი პიროვნების ფორმირებას.
- განახორციელოს პროფესიული სტუდენტის ხარისხიანი სწავლება და შეფასება, მოდულით გათვალისწინებული მოთხოვნების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- განახორციელოს პროფესიული სტუდენტებში პროფესიული უნარ-ჩვევების/კომპეტენციების ჩამოყალიბებისათვის შესაბამისი სწავლება;
- მონაწილეობა მიიღოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შემუშავებისა და სრულყოფის პროცესში;
- უზრუნველყოს სწავლების მაღალი ხარისხი;
- იზრუნოს საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებაზე და მონაწილეობა მიიღოს პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით კოლეჯის მიერ შეთავაზებულ სწავლებებში;
- უზრუნველყოს, საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში მონაწილეობის მიღება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლება;
- შეასრულოს მოქმედი კანონმდებლობით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით, პროფესიული სტანდარტებით, კოლეჯის წესდებით, შინაგანგანგის და სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ვალდებულებები;

მოთხოვნები

მინიმალური განათლება ბაკალავრი

კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები

პროგრამის დასახელება	ცოდნის დონე
Microsoft Office Word	კარგი
Microsoft Office Excel	კარგი
Microsoft Office PowerPoint	კარგი

საკონტაქტო ინფორმაცია

საკონკურსო კომისიის მისამართი ოზურგეთი, რუსთაველის N8

დამატებითი მოთხოვნები

- კვალიფიკაცია: საგნობრივი გამოცდით დადასტურებული ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის კვალიფიკაცია და/ან ბაკალავრის „ქართული ენისა და ლიტერატურის კვალიფიკაციის დამადასტურებელი შესაბამისი დიპლომი“, (მასწავლებლობის უფლებით -გავლილი აქვს 60 კრედიტიანი პროგრამა ან პროფესიული განათლების პედაგოგიური კურსი; სხვა შემთხვევაში, პედაგოგიური კურსის გავლა სავალდებულოა სწავლების პირველივე წელს) და/ან მაგისტრი/მაგისტრთან გათანაბრებული „ქართული ენისა და ლიტერატურის კვალიფიკაციის დამადასტურებელი შესაბამისი დიპლომი“, (სწავლების გამოცდილების არქონის შემთხვევაში, პედაგოგიაში გადამზადება სავალდებულოა სწავლების პირველივე წელს) და/ან ფილოლოგიის დოქტორი (სწავლების გამოცდილების არქონის შემთხვევაში, პედაგოგიაში გადამზადება სავალდებულოა სწავლების პირველივე წელს).
- სწავლების თანამედროვე მეთოდების ცოდნა;
- სწავლების პროცესში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი;
- ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
- სახელმწიფო ენის სრულყოფილად ცოდნა;
- ანალიტიკური აზროვნების უნარი;

დამატებითი ინფორმაცია

- კონკურსში მონაწილეობას გააგრძელებს კანდიდატი, თუ საჯარო სამსახურის ბიუროს ვებ-გვერდზე (www.hr.gov.ge) ატვირთული დოკუმენტაციით მოხდება მისი შესაბამისობის დადგენა ვაკანტური თანამდებობისათვის დაწესებულ ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან;
- კანდიდატი, რომლის მონაცემებიც არ შეესაბამება ვაკანტური თანამდებობისათვის განსაზღვრულ ძირითად ფორმალურ მოთხოვნებს ან/და მის მიერ არ იქნება წარმოდგენილი სავალდებულოდ ასატვირთი დოკუმენტაცია, კონკურსში მონაწილეობას ვერ გააგრძელებს.
- კონკურსანტს მეორე ეტაპზე გადასვლის შემთხვევაში გადაეგზავნება მოდულის განხორციელების გზამკვლევი (პროექტი), მის მიერ მითითებულ ელექტრონულ მისამართზე;
- გამარჯვებულ კანდიდატ(ებ)თან კოლეჯის მიერ შრომითი სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა ინტეგრირებულ საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის განხორციელების უფლების მოპოვების შემდეგ კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანების და გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად. პროგრამის უფლების მოპოვებამდე მასთან გაფორმდება წინარე ხელშეკრულება.
- შრომის ანაზღაურება: საათობრივი დატვირთვის მიხედვით, 1 საკონტაქტო სთ - 15 ლარი;
- შრომითი ხელშეკრულების ვადა დაიწყდება 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მომდევნო წელს გაგრძელების პერსპექტივით.
- სავალდებულოა, კონკურსანტმა ვებ-გვერდზე - www.hr.gov.ge შესაბამის გრაფაში ატვირთოს შემდეგი დოკუმენტები:
 - * განათლების, შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
 - * სამოტივაციო წერილი;
 - * გამარტივებული კონკურსი ცხადდება პირის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმების მიზნით.

გადანწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა

საკონკურსო კომისიის მიერ საბოლოო გადანწყვეტილება მიიღება ქულათა სისტემით, განცხადების მიღების ვადის ამოწურვიდან მაქსიმუმ 1 თვის ვადაში.

კონკურსის ეტაპები

განცხადების გადარჩევა
გასაუბრება